



შინაური სამუშაოები.

ფასი ერთი შაური.
წლიური ფასი სამი მან.
წელიწადი მეოთხე.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

კვირა, 15 ივნისი, 1911 წელი.

ყოველ-კვირეულ გაზეთ

შინაური სამუშაოები

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბუთაო დოკუმენტების განყოფილება).
პ. № 17. დათბობის გამომცემლობის სახლის ბაზარში, სიმონისაძის ქუჩის მარჯვენა კუთხეში. გამომცემლობის ფასი თვეში ერთად გამოვალს.

წლიური ფასი: 3 მანეთი.
ნახ. წლით: 2 მანეთი.
მაისიდან წლის ბოლომდე: 2 მანეთი და 10 შაური.

აღრები: ქუთაისი: „შინაური სამუშაოების“ რედაქცია.

შინაური: 1) ზევი სისაწყლე და უფუფელობა. 2) სინამდვილე სხარებისა—(გლადკოვიდან) 3) როგორ იცავენ შუერთებული შტატები თავის ტერიტორიას მხუე ელემენტებისაგან. 4) კვირიადმიკვირადე. 5) სანადის ასე?—თნოფრე შვირისა. 6) ნარკვევი (ფრნალ-გაზეთებიდან), 7) სურათი—ფეერეისა. 8) ქართული ფრნალისტიკურულიდან სომელიისა. 9) წაღმა-უკუღმა კ. წუთისოფელიისა.

ჩვენი სისაწყლე და უფუფელობა.

ჩვენ, საძღვდელოების, უფუფელობას და სისაწყლეს საზღვარი არ აქვს. ძღვდელო მოკლებულია თითქმის ყოველგვარ მოქალაქობრივ უფლებას. მას ვერ აირჩევენ ვერაფერ სასოკადო დაწესებულებაში, როგორც არის სამოქალაქო თვითმართულობა სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულება; მას არ შეუძლია ისარგებლოს

საკრედიტო დაწესებულების ნდობით, მის თამასუქს განსავალი არ აქვს; უკანასკნელათ, მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არა თუ ქალაქის ანხევნებში, უბრალო სოფლის მოხელეების ანხევნებშიაც კი. ერთი სიტყვით ძველი უფლება ვოვუღი მხრით შესღუდულია, ძველი უფელი მხრით შებორკილ-შეკოჭილია და მხოლოდ ერთი გზა აქვს განსნილი სასლიდამ ეკლესიაზე.

ასეთი უფუფობა შესაწინარეებელი იქნებოდა. თუ ძველი ნივთიერთ უსრუნველყოფილი იყოს, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ძველი ამ მხრით წარმოდგენს სრულ სიბეჭვეს. თუცა ძველი საზოგადოებას „ქქრის ორმოში“ ჰქვას წარმოდგენილი, თქრობში ჩაყვლი და კმაყოფილების ძორეში მოტივტივე, მაგრამ ეს მხოლოდ მის (საზოგადოების) სიბეჭეს და უადგილო შურს ამტკიცებს. ვინც ახლოს იცნობს ძველის ძეგლმარებას ის დაგვიჯერებს, რომ ძველის შემოსავალი ორთა შუარიცხვით 600 მანეთს არ აღემატება წელიწადში სახარსინო ჯამბაგირი და ეს ჯამბაგირი თუ შემოსავალი მისი უცვლელი ლეკმაა. გართულდება თუ გამარტივდება ძველის ცხოვრება, სულ ერთია; ძველმა 600 მანეთი უნდა იყოფინოს მაშინაც როცა ახალგაზდა და ოვილები არ აწუხებს და მაშინაც, როცა 8—9 შვილი სარჩენი და სხვა და სხვა სასწავლებლებში საპრონო ევოლება, როდესაც, როგორც ვიცით, 600 მანეთი ერთი დარბი სტუ-

დენტის სახრთა წელიწადში, სუ დაუვიწევით, რომ ძველი სმირათ თავის სამშობლოს და მიწა წელს დამორბულია და ეველაფერი სავიდელი აქვს, გარდა წელისა, თუ ქალაქში არ ცხოვრობს. ამას იაც დაუმატათ, რომ თუ ძველს სავალთ გაბირვეის დროს ფული დასჭირდა, უთუოდ ძვესძეს უნდა მიმართოს და უსამო დიდი სარგებელი უნდა მისცეს, რომ ფული იმოვნოს.

ასეთ უფუფობისა და უსასწობის გამო დღევანდელ რთულ ცხოვრების ზირობების მიხედვით ბევრი ძველი სასრულით გაისდიდა ანაფორას, მაგრამ არსებული განთნები ძეტად ზღუდავენ ასეთი ზირის უფლებებს და ამ წიროთ არ აძლევენ ნებას შეცდომა გაასწორონ და ცხოვრების უღმობელ ზირობებს გაუძკლავდენ. უთუთ ეს გარემოება ჰქონდათ სახეში სახელმწიფო სათათბირთს და სას. საბჭოს, როცა ცნობილი განთ-ზროექტით უადვილებენ სიძღველო ზირის ხარისხის ახდას და რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა, როგორც ვიცით არ დაბტკიცა.

თქმა არ უნდა, არის სხვა ზირობებიც, რომლებიც იძულებენ ძველს სარისის ახდას, მაგ. მეორე ცოლის შერთვის სურვილი, სჯულს გარდასვლა, მაგრამ ასეთები არც უფლებების შესღუდას შეუძინდებიან, თუ კი ცოტა ოდენი თავმოყვარობა და მოქალაქობრივი გაბედულება ხელს უწევს.

ამიტომ როცა სამღვდლო ხარისხის ახდის შემსლუღველ კანონების შემსრუტქებაზე ჭქონდით ლანარკი, ზალატებს სხეში უნდა მიელოთ, ამ ხარისხის ახდის მიბუღებელი მიზეზები — უფულებობა და მატერიალური სიბიწვე, და ეს მიზეზები მოეხსნათ ე. ი. ღვდლისათვის სრული მოქალაქის უფლება მიენიჭებიათ, მისი მატერიალური სიდუხჭირე გაესწორებიათ და ჩვენი ახრით საჭიროც აღარ იქნებოდა ამ სამღვდლო ხარისხის ახდის შემსლუღველ კანონების შემსრუტქება და გავრის კაცების განდვილება, რადგან ამის მსურველი ან სულ არ იქნებოდა ან ძლიერ მცირე გამოხაკლისი, რომლისთვისაც ცალკე კანონების შექმნა არც კი ედინებოდა.

მაგრამ როგორც სხანს ზალატებმა ამ ცხრით საკითხს არ მიბქციეს უურადლება, არ გაუწიეს ანგარიში ანაფორის განდის სურვილის უმთავრეს მამომრავებელ მიზეზებს და ეს იყო მიზეზი, რომ სენის მოსწობის საშუალების მაგიერ მის გამავრცელებელ საშუალებებზე უჩვენეს.

მიეცით მღვდლის ადამიანური უფლება მოქალაქის, უსრუნველ-ჭვეთ ივინითიერათ და თქვენ არ დაგჭირდებთ მისი გარისკაცების განდვილება.



სინამდვილე სახარებისა.

(გლადკოვილან).

ესე უოკელი დაწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ ესო არს ქრისტე, ძე ღვთის. (თ. XX 31).

ვაგობლება *)

ღვთის უარის მეოფელები ამბობენ, რომ ქვეყნისე უოკელითერა ხდება ბუნების განხების თანხმად, რომელთა დარღვევა შეუძლებელია, — სასწაული, როგორც ამ განხების დამარღვეველი რამ, შეუძლებელია, ამიტომ მასარებლებს მოთხრობები შესასებ სასწაულების სიმართლეს მოკლებული უნდა იყვნენ.

უმთავრესი სასწაული, უკვალ სასწაულთა შორის, რომელიერ აწიერი აქვს მასარებებს, არის სასწაული ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა, ამიტომ თუ შესაძლებელი შეიქნა დამტკიცება ამ სასწაულისა, ამით დამტკიცებელი იქნება სინამდვილე დანარჩენ სასწაულებისაც, რომლებიც აღწერილი არიან სასარებაში.

ესო ქრისტეს აღდგომის სასწაულის სინამდვილის წინამდებე ღვთის უარის მეოფეებს ნეულებრივ მოჭვეთ სამი მოსარება: 1) ქრისტეს მოწაფეებმა მოაპარეს მისი სხეული და გავრცელეს ხმა, რომ იგი აღდგა; 2) ესო ქრისტე არ მომკვდარა კვარზე, არამედ, ვით სავსო მკვდარი, დასოფლავეს, შემებე გამოცოცხლდა და გამოცხლდა თავის მორიქულებს, და 3) ესო ქრისტე აღდგა არა ნამდვილად არამედ მოციქულების რცნებაში, მათ წარმოდგენაში,

განეხილოთ ერთი-მეორეზე ეს მოსარებანი. მასარებელი მათე მოწმობს, რომ შემებე

*) იხ. უნ. საქ. № 14.



აქსო ქრისტიან დასაფარებლის, მეორე დღეს, შაბათს, მოვიდენ მის საფლავზე (რომელიც გამოკვეთილი იყო საღ გლდები) მღვდელმთავრისა და ფარისევლების, დაბეჭდეს ჭა, რომლითაც დასაფარებელი იყო საფლავის შესასვლი, და დაუყენეს მხმელანო, „ნუ უგეგო მოვიდენ მოწაფენი მისინა და წარბარონ იგი, და უთხრან კრას, ვითარმედ აღდგა მკვდრეთით“ (მთ. XXVII, 63 - 66).

როცა ასეთ ზომებს აღებულადენ, როგორც მკ. სინედრონის ბეჭდის დადგება და მრევლების დაუყენება, იგინი, უთუოდ, წინ დაწინაურად რწმუნდენ, საფლავშია თუ არ გვიმა ქრისტიანი, ხომ არ მოუპირათ იგი წინაღმეს მოციქულებს; თუ იმ დროს გავის უგეგო აღარ იყო საფლავში, მრევლებს დაუყენება რაღა სჯიაროა აქნებოდა. ამიტომ უნდა მივადლოთ, რომ მღვდელმთავრები და ფარისევლები მხოლოდ მაშინ დაეშაადდენ, როცა იქნის გვაში საფლავში ნახეს; მხოლოდ მაშინ დაბეჭდეს საფლავი, დაუყენეს მრევლები და წაივინდნენ.

მათეს შემდეგი მოთხრობიდან ჩვენ ვიცით, რომ, როცა აქსო ქრისტი აღდგა და მრევლებმა განურცხადეს ეს ამბოვი მღვდელმთავრებს, მაშინ იგინი შეგონეს მოხუცებულთა თანა და ზრზვა ჰქვეს, გერსლად დაიძალი მისცეს კრას გავნათა მით და რქვეს: ესრეთ სთქვით, რამეთუ მოწაფენი მისინა დასაფარებელს და წარბარეს იგი, ვადრე ჩვენ შევიდნენ; უგეთუ ესმეს ესე მთავარს მის, ჩვენ ვარწმუნოთ, და თქვენ უზრუნველ ვუყენით. სოლო მით მიადგეს გერსლი იგი და ჰქვეს სკრე, ვითარცა ისწავის მათან (მთე XXVIII, 12—15).

ამ ხარად, როცა მრევლებს სივალულოდენ, მღვდელმთავრები და მოხუცებულნი შეპირდენ მათ ზსუხის გუბისგან განთავისუფლებას რომელც მმართველის, მხრტულ ზილატეს წინაშე. თუ მრევლები სინედრონის ან ტაძრის მოსამსახურენი უფიფლიაუყენენ, მაშინ ისინი თავის თავით თავის უფიფლია ეჭებოდენ ზსუხის გუბიდან ზილატეს წინაშე, და ამიტომ არც საჭირო ეჭებოდა განთავისუფლებას დაპირება ასეთ ზსუხის გუბისგან, რომლისგან სინედრონის თითონ შეიძლოა განთავისუფლებას. ხოლო თუ ასეთი დაპირება მიხდა, ეს ამის ნიშნის, რომ მრევლებთ იყვნენ

რომელიც მხედრები, ზილატესგან სინედრონის განკარგულებაში გადაცემულნი ზსუხის დღესწილზე წესიერების დასაცვლათ; მართლა რომ დიდ ზსუხის გუბში ჩაგრებოდენ მრევლები, თუ ზილატეს გუგო, რომ მით უფიფლას კრთხბათ ეძინოთ სადარავილზე. რომელც ზსუხში სასტაგი დასინედრონის იყო, რომლის დაწვევისათვის უწყალოთ სჯიდენ. იროდმა სიკვდილით დასაჯა მხედრები, რომლებმაც საპურბილუში უფრო გერ უკდეს ზეტრეს რომელიც სხელომამ სასწავლურბივ განთავისუფლად (საქ. მ. XII, 19). ასე ეჭებოდენ დასკიფლი იმ მხედრებდ, რომელთა დასაჯობამდ მოხდა აქსო ქრისტიან გუბის მოტარება საფლავდ. მაგრამ, იმით არა თუ სიკვდილით არ სჯიან, საძირალდამდ არ აძლევენ. ამასთანვე, უჩველია, რომ იმ სინედრონის შუამდგომლობა, რომელიც ზილატეს მოელი თავის არსებით სძებდა, ვერაფერ სასისხურს გაუწევდა მხედრებს მოსდლოდნულ ზსუხის გუბში, და ვერ განთავისუფლებდა მათ სასტაგი სასჯელისგან. მეორე მხრით, თუ მართლად მოციქულებმა მოაპირეს გუბში აქსო, ნუ თუ განმორტებულმა ქრისტიან მტრებმა არ იხურეს; ესარგებლათ მარჯვე შემთხვევით, რომ ერთბაშად განთავისუფლებულიყვნენ უჩველად მის სახლობელ მოწაფეთაგანს; ნუ თუ იგინი არ მოითხოვენ ზილატესგან მათ სასხლს; ამ საქმის გამოძიებით და მოციქულების სიკვდილით დასჯით იგინი არა თუ თავს გიმართლებდენ ხალხის წინაშე ქრისტიან უარისყოფისათვის, არამედ თავის გუგლენისც უფრო განმტკიცებდენ მათ. მაგრამ არაფერის ამისთანის სინედრონი არ მოქმედობს. ეს ცოტა, რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა მოციქულებმა თავის მოძღვრებით აქსო ქრისტიან მკვდრეთით აღდგომს უთხარობით ებრადი მოაქციეს და სინედრონმა მოსთხოვა მათ ზსუხის, აქც გერ გუბდა (სინედრონმა) დაუბრლება მათთვის ქრისტიან გუბის მოტარება; არამედ დამაყოფილად მხოლოდ მით, რომ აღუქმდა მთ ქადაგება (საქ. IV, 18). რა არის მისიყმა მღვდელმთავრების, ფარისევლების და მოხუცებულების სეთი საქციელის? მიყენია განსება: თვით მთ გამოაგონეს ზღაპარი ქრისტიან გუბის მოტარებისა და ამიტომ მშვე-



ნიურად ესმდათ, რომ მოციქულებისა და მხედრუ-
ბის წინააღმდეგ საქმის აღძვრას გამოასპარაკებდნ
თვით მათ ჭორებს, დაატყდა მათ თავსე სს-
შინელ მსახურს ტუბას და განაძლიერებს სხელს მი-
წმენისა ესო ქრისტეს მივადრებით აღდგომასე.
უხვობისა ცავს შემდეგ, გადასწავლებს მათ და
შემდეგ, რამდენიმე ხანი რომ გავა, თავის სს-
გებოლოთ გამოკვეთნოთ საქმის გამოურგვედობა;
მასინ ვინმე მინერ დაუჩურობს მათ, ეხლას კი, თუ
საქმე აღძვრათ კითომი დანაშაულებს წინააღმდეგ,
არავინ დაუჩურობდა. ახ რათ სდუმდენ ივინი მთ-
დაცე წასინრესოთ

მიუბრუნდით ახლა მოციქულებს და ეგრედოთ
გამოკვეთლოთ საქათის: შექმლოთ თუ არა მო-
კმართ მათ გვამი ესოსია? მოციქულებს უმტკი-
ლად უყვარდათ ესო, სწამდათ იგი, ვითარცა მეს-
სია და მოუთმენლად ელოდენ ამ ბედნიერ დღეს,
როდესაც ის დაამყარება თავის მეუფებას, როცა
ივინი დაიკვეთდენ სინატილი აღდგომებს. ივინი, რა-
გორც ყველა მამანდელი ურთა, დაწმუნებული
იყუნენ, რომ მესისა იმეფებს სს-უხვობით, მამ-
სადაც მასსადეის არ მოკვდება. ახ რატომ იყო,
რომ მოციქულებს-სათვის ყოველთვის ვაუტუბობრი-
ყო სოლმე ესო ქრისტეს აღმარება შესახებ თვისი
სიკვდილისა; მათი წარმოდგენას მესისასე ნებას არ
აძლევდა მათ მივადრთ შესაძლებლობას მისი სიკვდი-
ლისა და მატომი არაფერ მინაშენებლობას არ აძლევ-
დენ მას სიტყვებს შესახებ აღდგომისა; ივინი სე-
დავდენ ამ სიტყვებში ივინს, ვარდათქმით დახა-
რავს, რომელსაც სმირად ხმარობდა მათი მომადგ-
რა. ესოსია კი ვერარცე ვერაგენ! იგი მოკვდა და
დაიძინა, როგორც ყველა დაიძინებო! თუ იგი
მოკვდა ფიქრობდენ ივინი, მამ ის მესისა არ უო-
ფლას; და თუ იგი მესისა არ იყო, რათ ატყუე-
ბდა მათ? ასეთი ახრება უთუოდ აძლევდენ
მოციქულებს. სოლო თუ მათ გულში გუჯია შეი-
ძარა, თუ ივინი თავის მატყუებლად რაცხდენ, მამ
რად საქმე უნდა ჰქონოდათ მათ იმ კაცის გვამ-
თს, რომელმაც ივინი მოატყუა და შეიფარა სს-
შინარ შედგომამამ? მათ სჯარათობს არ დაინახეს
მსაკვალად მენფლასებულათა დავითა, წასულაიყვენ
სიფლავად და გადუნდათ ჩვეულებრივი მოკვლობა
პატრიარქისას ასეთ სულას მდგომარობაში იესო

ქრისტეს ტუბასი მომარვა მოციქულთაგან უსწრო,
უმიზნო და ამასთანავე სს-შინარ საქმეჩ რქნობდა
შესავალი სიფლავში და მხულო იყო ვებერთლას
ლოდა და სიკვადენ შეარბლებული მხედრები. მი-
სვლას ღოდის გადაგორება, შესვლას სიფლავში
ტუბასი გამოტანას და წადება, უოველივე ამის მო-
ხერხება, ისე, რომ მტკულებს არ გაგოთ, ყოვლად
მოუხერხებელი საქმეა. მოკლე მხრით, თუ მოცი-
ქულები დაწმუნებული იყუნენ, ესო ქრისტეს
აღდგომის შესახებ, ამ შემთხვევამაც მასი ტუბას
მომარვა უმიზნო იყო და უსწრო; რასთვის უნდა
მოკვდართ გვამი, თუ იგი მესამე დღეს აღდგომ-
დას? უგანსისკულ მოციქულებს მხოლოდ მამან და-
ბადებობად ახრი გვამის სხვის უმიზარ ადგილსე
გადატანასა, თუ ესო ქრისტეს მტრებს ახრად
ჰქონდათ შეურაცხება მაკუქნებოთ მისთვის; მგონი
არაფერი ასეთი არ გამოჩენილა. წინააღმდეგ, ესო
დასაფლავის ჩვეულებისამებრ ურათათ და დაუჩენეს
მტკულები. ამასთანავე, არ იყო არავითარი მსხვი-
ბისეთი საკითხის ადვერსათვის, ვერ მატომ, რომ
არავითარი შეურაცხება გვამისა არ შეიძლებოდა
მას შეუსვლად, ყოველგვარ შეება მინგალებულასა
კი შეეებებათ თოვლებოდა. და კიდევ მატომ, რომ
გბრავლება, როგორც იასებს ფლანბილი მოწმობს
(იუდეუბის ომი წ. 4 თ. 5, 2) ისე ზრუნუ-
დენ მცვალდებულთა ტუბასი მალე დასაფლავებასე,
რომ განხიზნობთ ვვარცმელებსაც ხსინდენ ზრუნო-
ბას და მისას ჩასვლამაცას საიფლავებდენ.

გარემე ამას, სხნობრივი სახე მოციქულე-
ბისა ნებას არ გვამდკის ვითავტროთ, რომ მათ მო-
მარვას გვამი ქრისტესა და შემდეგ ყველა არწმუ-
ნეს, რომ იგი ადგა. მათ ხომ მთელ ქვეყნას
მოჰფინეს მომდგურება მვედრითით აღდგომად ქრო-
სტეს შესახებ და არ უდალტეს თავის რწმენას
არც სს-ტოვი დენის დროს და არც მამინ, რო-
ცა მათ სიკვდილოთ სუადენ ამ რწმენისათვის სჩანს
მათ მტკიანეთ სწამდათ, რომ ქრისტე ტუშმარტად
ადგა; სოლო ასეთი რწმენა მათ არ შეეძლოთ
ემტკინებოთ, თუ მართლას მოკვდართ და დაძმლათ
ქრისტეს გვამი. ახ რას უნდა აქტულება ივინი,
რწმუნებისათვის, რომ ქრისტე ნამდვილად ადგა,
თუ მართლას არ აღდგომადიყო? უწინდელ სიყუ-
რულს მისდამა? მგონამ ეს სიყვარული არა თუ

სრულიად უნდა გამჭარალოთ მათში, არამედ სიმულ-ვილადაც უნდა გადაქცეულიყო, რადგან აგინა დაწმუნებულები, რომ მან მათეუა განუხარბილად-ბელ ოცნებით და შექმნა დაწყება აგინა მათი ბედაწერას ამისა.

ამანარად უნდა დავთანხმდეთ, რომ მოციქულებს არ გაუტარებთ გვამი ქრისტიკისა და არც შექმლოთ მისი გატარება.

(შემდეგი იქნება).



როგორ იცავნე უმეტესად უბატონი თავის ბარბიტორის მამე ელენებ-ბისაბან.

(წერილი ნიუიორკიდან).

„N. P.“ კორესპონდენტი შემდეგ საყურადღებო ცნობებს იწერება ნიუიორკიდან: „ამერიკელები, რაც დრო გადის, უფრო და უფრო უფიქრდებიან ევროპა-აზიიდან ხალხის გადმოსახლებას—ემიგრაციას, — და ფიქრდებიან სრულიად ზოლო მოუღონ ამ მოვლენას, ე. ი. არ მიიღონ ამ ქვეყნიდან ემიგრანტები.“

აგერ რამოდენიმე წელიწადია, რომ ნიუიორკში, სადაც უნდა გაიაროს ემიგრანტების უმრავლესობამ, სინჯამენ ემიგრანტებს და ათასობით იწუნებენ მათ.

1909 წლის 1 ივლისიდან 1910 წლის 30 ივნისამდე ევროპაშივე დაბარუნეს 24270 კაცი. მართალია ეს რიცხვი მთელი ემიგრანტების მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენს, მაგრამ მაინც ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავს 24 ათასი კაცის დრამა, დაკარგული სიცოცხლე...

ამ სიტყვების დამწერმა, ემიგრანტების მართებლობის ნებართვით, თვით ინახულა ელის-ილინდის კუნძული, სადაც სინჯამენ ზოლმე ემიგრანტებს და სადაც ცხოვრობენ უარყოფილნი უკან დაბრუნების მოლოდინში.

ძნელი დასასურათებელია, თუ რა ხდება ამ ადამიანის ცრემლისა და მწუხარების კუნძულზე.

ძანონის ძალით ამ ქვეყანაში შემოსვლის ნება არ ეძლევათ უცხოელების შემდეგ კატეგორიებს: რეგენებს (ИДИОТЫ), ავნიანებს, ქკუა თხელებს და საზოგადოთ სულით ავათ-მყოფებს, ან ყოფილ გიყებს ხუთი წლის წინეთ; ვინც ორჯერ ყოფილა თავის სიცოცხლეში სულით ავათ; დარიბებს, რომლებზედაც შეიძლება ითქვას, რომ იგინი ამერიკელ მოწყალეების ზედმეტ ბარგათ შეიქნებიან; პროფესიონალურ მათხოვრებს; ქლეკით ავათმყოფებს, ვენერიული ან სხვა საშიში გადამდები ავათყოფობით დისენტერეულებს; ყველას, რომელთაც ექიმები, იცნობენ სულიერათ და ხორციელათ შრომისთვის უფარვისათ; რომელთაც სასჯელი აქვთ გადაწყვეტილი, ვისაც ცუდი საქმე რამ ჩაუდენია, ან ცუდი საქციელი მართებლობის წინაშე; მრავალ ცოლიანებს, ანარხისტებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც მისული არიან იმ მიზნით, რომ პროპაგანდა გასწიონ, ძალით ან ტერორის საშუალებით დაამზონ არსებული წესწყობილება შეერთებული შტატებისა, ან ოფიციალურ პირთა მკვლელობისათვის, პირობის ქვეშ მყოფ მუშებს, დაბოლოს როსკაპებს და მათ, ვისაც ქალები და დედა-კაცები შემოჩყავთ, ან სტლიობენ შემოიყვანონ გააყენილების მიზნით.

სხვა და სხვა ქვეყნის ემიგრანტებმა იციან ეს კანონი და ისე აი მოდიან, თუ წინ-და-წინ თავს არ გაასინჯებენ ადგილობრივ ექიმებს. ამას გარდა თვით გემების საზოგადოებათაც, რომელნიც ჯარიმას იხდიან თითოეულ უფარვის ემიგრანტზე და ვალდებულიც ხდებიან უკანვე უსასყიდლოთ წაიყვანონ უფარვისები, დაწესებული აქვთ თავის მხრით ემიგრანტთა შემოწმება, მაგრამ, მიუხედავით ასეთ



თანადრიგისა, ემიგრანტების მოხელეები მაინც თავისას არ იშლიონ და სწინდღავე მომსვლელებს სწეპკო ელემენტებისაგან.

გამოკიდებამ დაგვარწმუნა, რომ 60 პროცენტზე მეტს მხოლოდ იმ ექვით აბრუნებენ, რომ ივანი ამერიკელ მოწყალეების ბარგათ გახდებიან. აქ ყველაფერი ძლიერ ემიგრანტის ინსპექტორის პირად შეხედულუებაზე დამოკიდებული.

იმ უხედურებამ რაც ელლის-აილანდის კუნძულზე ხდება, უკვე მიიქცია ყურადღება ამერიკულ პრესისა, რომელიც იმ აზრს ატარებს, რომ ხელოვნურად შემოკლდეს ემიგრაცია შემზღუდველ კანონების გამოცემის გზით.

ისმის პროტესტი ოჯახის დარბევისათვის (კოლქმარს და ორ შვილს უშვებენ, მესამეს კი აბრუნებენ ევროპაში და სხ.), სასტიკ მოპყრობისათვის, რამაც გამოიწვია რამოდენიმე თვითმკვლელობა ელლის-აილანდზე.

ამას წინეთ სახლვარ გარეთელ ჟურნალისტების განსაკუთრებული დღევანდელი ესტუმრა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ტაფტს, რომელსაც უჩვენა დიდ და თავისუფალ რესპუბლიკის შეუფერებელი ფაქტები აილლის-აილანდის ცხოვრებიდან.

დემოკრატები, რესპუბლიკანელები და უმეტესი ნაწილი მსხვილ მუშათა იუნებისა (კავშირებისა) თანახმა სჯიან, რომ ემიგრანტების ზედმეტი დენა შეერთებულ შტატებში სასურველი არ არის.

არაიან, რა თქმა უნდა, ამ აზრის წინააღმდეგნიც, და მხოლოდ ამ დღეებში წსხვილ მაშენებელ მოიჯარადრეთა კავშირმა მოითხოვა ემიგრანტების შემოსვლის შემზღუდველ კანონმდებლობის გაუქმება, მაგრამ ასეთები უმცირესობას შეადგენენ.

სამი წლის უკან კონგრესმა ემიგრაციის პრობლემის მეცნიერულ გამოსაკვლევათ კამისია აირჩია. ამ კამისიამ ამ ახლო ხანში დაასრულა მუშაობა და წარუდგინა კონგრესს ორმოც ტომიანი მოხსენება.

ამ კამისიის აზრით ემიგრანტებმა დასწიეს ამერიკელ მუშების ხელფასი და ამას-

თანვე ნამუშევრის ღირსებამაც იკლო. განსაკუთრებით სასურველი არ არიან ის ემიგრანტები, რომლებიც საქაოთ მოდიან. ასეთები არიან მაგალითად იტალიელი და რუსი მუშები და გლეხები. როგორც დაბალ კულტურულ განვითარებისა და მოთხოვნილების მექონნი, ავინი მცირე ხელფასს სჯერდებიან და რამოდენიმე წლის შემდეგ სტოვებენ ამერიკის ისე რომ არაფერს სძენენ მას და თან მიაქვთ ამერიკული ოქროები.

შტატების ფინანსთა აგენტმა, მისტერ ბრაუნმა, გამოიანგარიშა, რომ შეერთებულ შტატებიდან ყოველ წლივ იგზავნება ევროპაში 200,000 დოლლარი და, გარდა იმისა, ემიგრანტებს თან მიაქვთ კიდევ 136 მილიონი. თითოეული ემიგრანტი გზავნის ევროპაში წელიწადში 100 დოლლარს.

მაგრამ მარტო ეკონომიურ მოსახრებას არ ქონია გავლენა კომისიის მოხსენებაზე შესახებ ემიგრაციის შემცირებისა.

ემიგრანტები ჩვეულებრივ ევროპის მკხოვრებთა ნაძირალს წარმოადგენენ, რომლებიც დაბალ გონებრივ და ზნეობრივ განვითარების საფეხურზე დგანან. როცა შეერთებულ შტატებში შემოდინ და ნელ-ნელა ამერიკელდებიან, იგინი ძარს სწევენ ქვეყნის საზოგადო კულტურისნობას და ფრად აღიღებენ მის ბრალეულობას (преступности) მხოლოდ მაგალითად, იტალიელ და რუს ემიგრანტების მეოხებით არის შტატებში პროცენტი წერაკითხვის უცოდინარ პირებისა.

კომისია წინადადებას აძლევს კონგრესს მიიღოს შემდეგი „სათადარიგო“ ზომები:

1. არ შემოუშვას არა ხელოსნები.
2. მოეთხოვოს თითოეულ ემიგრანტს წერაკითხვა თავის დედაენაზე.
3. საკითხი ემიგრანტის შემოშვებაზე დამოკიდებული იქმნეს რასაზე.
4. თვალყური ედევნოს, რომ ემიგრაცია თანასწორათ ვრცელდებოდეს მხარეში.
5. უკანასკნელ მიზნისათვის და აგრეთვე უარყოფილ ემიგრანტთა საჩივრების განხილვისათვის დაარსდეს განსაკუთრებული თანამდ-

ზობა ემიგრაციის მეზოფიურისა.
ძნელი არ არის ვინანასწარმეტყველოთ,
რომ შეერთებული შტატები მალე დაიხრება
ევროპიელ და აზიელ ემიგრანტებისათვისა.
— აბოლოებს კორესპონდენტი.



კვირიდამ კვირამდე.

მისმა მეუფებამ დამტკიცა ჟურნალური
დადგენილება იმერეთის საეპარქიო კრებისა
ჯამაგირების განაწილების შესახებ.

30 მისს ტაძრის დღესასწაულის გამო
მისმა მეუფებამ წირვა საეპარქიო საქალებო
სასწავლებლის ტაძარში შეასრულა. გალობდა
ორი გუნდი საკუთარი მისი მეუფებისა რუსუ-
ლათ და სასწავლებლისა ქართულათ კახორ
კილოზე. გარეშე საზოგადოება ნაკლებათ
დაესწრო.

იმერეთის სამღვდლოების სამარხი კასისი
წესდება, როგორც ეტუობა ჯერ კიდევ არ
განუხილავს კანტორას. ჩვენ კი წერილებით
გვეკითხებიან, როდის დიწყებს კასსა მოქმე-
დებას. როგორც ეტუობა, სამარხი კასის და-
არსების საკითხი მომწიფებული ყოფილა სამ-
ღვდლოებაში და ყველანი მოუთმენლად
ელიან მის გახსნას. ამიტომ ურიგოც არ იქ-
ნება კანტორა დროზე დააბრუნებდეს დამტკი-
ცებულ წესდებას უკან. ჩვენი ფქრით აქ დი-
ლი თავსატეხი საკითხი არა არის რა გადასა-
წყვეტი სამღვდლოებამ ვალათ დაიდგინა და-
ეხმარონ ერთმანეთს სიკვდილის დღეს და ეს

დადგენილება არავისთვის მანგებელი არ არის,
გვეგონია. ხოლო რაც შეეხება მის კანონი-
ერებას ამაზედაც არ არის დიდი დაფიქრება სა-
ჭირო.

როგორც „კოლხიდაში“ ვკია ხულობთ,
29 მისს ცხილდან გაუთავისუფლებიათ „ცნო-
ბილი მწერალი და ექიმი ივანე გამართელი“.



სანამდის ასე?

ეხლა-ხან ერთ რუს პროფესორთან ვიყა-
ვი. ლაპარაკი ჩამოვრდა სხვათა შორის ერთ
ჩვენს თანამემამულე სასულიერო პირზე. ეს
პირი ამ პროფესორის ნაამხანაგარია, მათ ერ-
თად დაასრულეს უმაღლესი სასწავლებელი.
პროფესორმა ქებით მოიხსენია სხენებულ პირის
ტალანტი და ახლად დაწყებული მუშაობა
საღვთისმეტყველო მხარეში. მას მომავალში
ბევრის გაკეთება შეუძლია, ჩვენ მაგისგან
ბევრს მოველითო, ამბობდა იგი.


ალტაკებულთ, იმედგაორკეცებულთ
ვბრუნდებოდი შინ. მწარე ფიქრებს შეშურ-
დათ ჩემი დრუკითი სიხარული და ისევ დი-
წყეს სრიალი იქვიან კითხვებით მღელღორე თვე-
ში „ისინი მისკან ბევრს მოკლიან“.. მერე?
მერე შენ რა? განა ცოტა მისცა სამშობლომ
უცხო მეზობლებს საამაყო იმედი, მაგრამ ამით
რა დააჩნდა მის საკუთარ მდგომარეობას?!
ამით რა მოაკლდა თვით მის აწყყო ბედშა-
ბას?!.. ვეკითხებოდი ჩემს თავს და კვლავ წინ
მეშლებოდა გულსაკლავი სინამდვილე.

განა განმეორება უნდა, გახსენება სქი-
რია, ვისაც თვალნი აქვს ხედავ და ყურნი
სმენად, რომ საზოგადოა მწერლობა და კერ-
ძოთ საღვთისმეტყველო, ჩვენში ღრმად და-
ცემულია? იქ, სადაც ერთ დროს მოკიქულე-

ბრივი ხმა განუწყვეტლად და ხმა მალა ქუხდა, სულიერი შემოქმედება გამარჯვების მწვერვალს დღესასწაულობდა, დღეს სამარისებური სიჩუმეა. ამპობენ, მწერლობას პირობები ქმნი-სო. განა ეს უკანასკნელი დრო არ წარმოადგენდა და არ წარმოადგენს ერთ საუკეთესო პირობას სასულიერო მწერლობის აყვავებისათვის ამ უკანასკნელ დროს ცხოვრებამ ფართო ასპარეზო გაუხანა მოძღვრულს მოქმედებას. შეგებენ ადამიანის სულის უწმიდესს და უსათუთესს სამკვიდრებელს თვით მივარდნილი კუთხეშიაღ შეიტანეს ქაღალემა ადამიანის თბილესს ღირებულმბათა უარყოფისა და მოუტყვენარის იკვირ შეარყიეს მრავალთა მორწმუნე გული. მოსალოდნელი იყო, რომ ყელა ვის რითაც შეეძლო, მოიკრეფდა მთელ თავის ძალას და დროთი-და-დროვოდ შეუყენებელის სიმზნით გამოვიდოდა ქრისტეს ყანაში სამუშაოდ. როგორც ვიცით, მწერლობა ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ქეშმარტივების და სკეთის მსახურებისა და ბორბტება-სიბნელის წინააღმდეგ ბძოლისა; მაშასადამე, თუ სადმე უნდა ყვაოდეს იგი, პირველათ და უმეტესათ ეკლესიის მსახურთა შორის. სწავლება დაუძინებელი, ქეშმარტივების განფენა კიდითი-კადემდე უმთავრესი მოვალეობაა მწყემსთა და მოძღვართა მაგრამ არა. ისინი რომელიც მოწოდებულნი არიან მიმოფინონ სიყეთე და ქეშმარტივება, სთქვინ დაუღალავად სიტყვა ლეთისა, ყველაფერს აკეთებენ ჯალდა და ამ დანიშნულებისა და მხოლოდ მაშინ აღიმალღებენ ხმას, როცა საკითხი კუქის ინტერესებს შეეხება. მართალია, ვინ უარყოფს, რომ მრავალ შეშვიწროებულ პირობითაა გარშემოცული დღეს ყოველი ნაბიჯი ჩვენი თვითმოქმედებისა მაგრამ ერთი მიზრძანეთ, რაც შეგვიძლია, რაშია პირობები ხელს გვიწყობს იმ ფარგალში რა გავაკეთეთ? რა არის მიზნეი ასეთი უმოქმედობისა, ასეთი სულიერი მკვდარობისა? რათ სდუმან ქეშმარტივებას მოციქულები? რათ არ აწუხებთ მათ სულიერი შიშიშილი მოწაფეთა, რათ არ შესკამთ მათ შური ლეთის სახლისა? საკმაოდ გყანან მომზადების და ნიქის ბატ-

რონი პირები, რომელთაც არა ერთი და ორი განძი შეუტანიათ და შეაქეთ უცხო საღეთის-მეტყველო ლიტერატურაში. მაშ რა მიზნეია, რომ მათი არსებობა აღარ ეტყობა ჩვენს ლიტაკ მწერლობას? გამიგონია ქართულ ენაზე მეცნიერულ შრომას ვისთვის ექნება ფასი, ვინ ეყოლება მკითხველი; უცხოელებს უნდა გავაცნოთ ჩვენი ღიადი წასული და უმწვერვალესად განვითარებული ძველი ჩვენი საამაყო სულიერი კულტურის ნაშთთა. საპატიო მიზანია. დაუფასებელი მოღვაწეობაა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. თუ არ დავეწაფეთ წინმსვლელობას, თუ არ შეკენით წასულის შესაფერი აწმყო და ამით წინაპართა საამაყო კულტურას ღირსი მემკვიდრე არ გაუხდით, მაშინ რაც გინდათ იყვიროთ ისტორიულ სიდიადებზე, ვისაც გინდათ გაცნოთ ჩვენი წასული ღიებმა, ამით აწმყო ჩვენს მდგომარეობას ვერაფერს ვერ ვუშველით. წასულს მისთვის აქვს მნიშვნელობა, ვინც აწმყოში ცოცხალია. წასულის შემოქმედების ნაშთს ის ჩაიბარებს, ვინც აწმყოში ცოცხლობს და მოქმედებს. მარტო წასულით მოამაყე ადამიანზე მშვენიერი ანდაზა დაგვიტოვა ქართულმა სიბრძნემ, „თუ კაცი თვითონ არ ვარგა ცუდია გვარი შვილობაო.“ ღიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც საქარ-თველოს ეკლესიამ თვით-ცნობიერი, შეგნებული და თავისუფალი ცხოვრება მოითხოვდა და არსებობის უფლების დასამტკიცებლად ბრწყინვალე ისტორიული საბუთი წარადგინა. პასუხად ასე უთხრეს იქვის კილოთი: შეგიძლია თუ არა თვითუფლებრივი, თავისუფალი ცხოვრებაო, ეს საკითხი დღესაც საკითხად რჩება და მისი ასე თუ ისე სამშით გადაწყვეტაში ჩვენი მომავალი ბედი.

ინოკენტი მწირი.



ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ქრწნალ-გაზქეთებდამ).

ქრისტიანობა იაპონიაში.

1909 წლის დამლევს საზოგადო რიცხვი ქრისტიანებისა იაპონიაში იყო 146508 სული, რომლებიც აღსარების მიხედვით ასე ნაწილებიან: რომის კათოლიკენი 62,158; მართლმადიდებელნი 15,098; ეპისკოპალები 13,008; კონგრეგაციელებს ეკუთვნიან 14,606; მეტოდისტებს—11,092:

შესანიშნავია, რომ ნაგასაკის გუბერნიაში 35,834 იაპონელი კათოლიკეა, ე. ი. ნახევარზე უფრო მეტი მთელ იაპონელ კათოლიკეთა რიცხვისა იაპონიაში.

როგორც გაზ. „Россия“ გადმოგვცემს უწ. სინოდში დასასწრებათ ობერ პროკურორის უქვეშევრდომილეს, მოხსენისამებრ გაწვეულნი არიან არქიებისკოპოსები: ფინლიანდიისა სერგი, და ვოლინისა ანტონი და ეპისკოპოსები—მოგილიევისა სტეფანე, გროდნოსი მიხეილი და თურქესტანის დიმიტრი (აბაშიძე). თავმჯდომარეობა მინდობილი აქვს ფინლიანდიის არქიებისკოპოსს სერგის.

გაზეთებში ხმა გაეარდნილი, რომ ვილაც ორმა ინგლისელმა არხეოლოგმა ნება იშოვნა სათანადო მართებლობისაგან და იერუსალიმის იმ ადგილებში, საცა იერუსალიმის ტაძარი იდგა და დღეს მჭიით დგას, მიწის თხრა დაიწყეს. დადებული პირობით, რასაც კი იპოვიდნენ ყველაფერი სტამბოლში უნდა ჩეტანათ. ელა ამბობენ, რომ ამ არქეოლოგებმა, რაც იპოვეს ჩუმათ გააპარეს ინგლისში. ამბობენ ნაპოვნ ნივთთა შორის არიან: მოსეს სასწაულ-მოქმედი კვერთხი, ათი მცნება, აღთქმის კილობანი, სოლომონის გვირგვინი,

ბექედი და სხვა მრავალი განძეულობაო. რამდენათ მართალია ეს ხმები, არავინ იცის. ბევრი ექვის თვლით უყურებს ამ ცნობას.

გაზ. „Россия“ უსაყვედურებს მემარცხენე გაზეთებს იმ აზრს,

რომ „ვითომ მექრთამობა, პროტექცია, ნათესაობა და სხვა ბევრი ბოროტმოქმედება მართებლობაში უნდა ირიცხებოდეს სპეციალურათ რუსულ მოვლენებათ“.

ასეთი ამბები და უარესებიც, გაზეთის აზრით, სხვა სახელმწიფოებშიდაც ხდება და არა მარტო რუსეთში. არ შეგვიძლია არ დავემოწმოთ ამაზე გაზეთ „როსისას“, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია არ შევინშნოთ, რომ ზოგიერთი დღევანდელი რუსეთის სახელმწიფო წესწყობილების პირობები ხელს უწყობენ ასეთ უსამართლობის განვითარებას სახელმწიფოში.

მინისტრთა საბჭოს საქროთ უცვნია მართლმადიდებელ მღვდლის მ. სტელმაშკოს შუამდგომლობის დაკმაყოფილება შესახებ 60 ათასი მანეთის სესხათ მიცემისა იმ ხარჯის დასაფარავათ, რომელიც მას მოსვლია ქ. კიევიში ორი გიმნაზიის—საქალბოს და სავაჟოზის—დაარსებაზე. ეს ორი გიმნაზია მ. სტელმაშკოს მართლმადიდებელ რუსთათვის დაუარსებია და დიდი ყურადღება და ნდობაც დაუმსახურებია. გიმნაზიის შენობა ეკლესიით და სხვა მოწყობილობით მ. სტელმაშკოს 430,000 მანეთზე მეტი დაჯდომია, რასაც მეტ გაქირებებაში ჩაუგდია მ. დამფუძნებელი. შუამდგომლობას მხარს უჭერდნენ როგორც სახალხო განათლების, ისე ფანანსთა სამინისტროც.

27 მაისის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე სახელმწიფო სერკეტარმა წაიკითხა სია იმ კონონ-პროექტთა, რომლებიც ღირსი გახდნენ უმაღლესი დამტკიცებისა და სხვათა შორის მოახსენა შემდეგი: „მისმა იმპერატორობითი უდიდებულნსობამ 26 მაისის 9111 წლის კანონ-

პროექტზე შესახებ კანონების იმ დადგენილებების შეცვლისა, რომლითაც შეზღუდულია უფლებანი სასულიერო პირთა, რომლებმაც თავის ნებით აიხადეს ან აეხადათ სასულიერო ღირსება, თავის საკუთარი ხელით დახაზა: „არ ვამტკიცებ“.

ქ. არხანგელსკის საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორმა შლ. სტროპოტოვმა, როგორც გადმოგვცემს გაზ. „ШКОЛА И ЖИЗНЬ“, თავის კაბინეტში გახრწნა მოსწავლე ქალი ოლღა მ., რომელმაც მისი ბრძანებისამებრ მიართვა მას თავის რვეულები. ამ ამბის თაობაზე საპლედლოებას ბუობა ჰქონდა, რომელზედაც დაადგინა, დაუყონებლივ გადადგეს მ. სტროპოტოვი თანამდებობიდან, დაინიშნოს მკაცრი გამოძიება და ეთხოვას მას თავი დაანებოს სამსახურს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იგი გამოძიებით გამართლდება; დათხოვნილ იქნეს აგრეთვე ყველა მასწავლებლები, რომლებიც ღირსი არ არიან თავიანთ დანაშაულებისა. რადგან მოსწავლე ქალთა შორის მღელვარება დაიწყო, დაუყონებლივ დათხოვნილ იქნენ საზაფხულოთ და გადაყვანილ (ყველა) შემდეგ კლასში უეჭაჰენათ.

პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მომავალ სამოსწავლო წლისთვის შემდეგი თავისუფალი ადგილებია მისაღებ სტუდენტებისთვის: ტენოლოგიუო ინსტიტუტში 28ა (მეხანიკ. 210 და ხიმიკ. 7ა), რომელთაგან ებრაელთათვის 10; ქალთა მედიკურ ინსტიტუტში 250; სამთო ინსტიტუტში 150; ქალთა უმაღლეს კურსებზე 1500 (ხუთა-სხუთასი თითოეულ ფაკულტეტზე).

(III. и Ж.)

ჯერ კიდევ მოსპობილი არ არის და დღემდის მოქმედებს ყოფილ სახალხო განათლების მინისტრის ბ. შვარცის საიდუმლო ცირკულიარი შესახებ საშუალო სასწავლებლების არა კეთილ-

საიმედო მოსწავლეთა. ამ ცირკულიარში ნათქვამია, რომ სასწავლებლებიდან ხშირათ ითხოვენ ისეთ მოსწავლეებს, რომლებზედაც საზოგადო ან ჟანდარმების პოლიციის მხრით მათ არაკეთილსამედობაზე გამოძიება წარმოებას, მაგრამ ხშირად ცხად საბუთების უქონლობის გამო, გამოძიება ისპობა და მოსწავლენი თხოულობენ უკანვე მიღებას. ამიტომ პედაგოგიურ საბჭოებს წინადადება ეძლევათ ილიდი წინდახედულობა გამოიჩინონ ასეთ შემთხვევებში, რადგან ჟანდარმის თუ საზოგადო პოლიცია ასეთ შემთხვევებში ხელმძღვანელობს საშიხილებელი საბუთებით, რაც პედაგოგიური საბჭოებისთვის სავალდებულო არ არის.

(III. и Ж.)

ახალ ობერ-პროკურორს ვ. კ. საბლერს სასულიერო სასწავლებლების შესახებ შემდეგი ულაპარაკანია;

მართებლობა უსაკილოთ უნდა დებხმაროს მართლმადიდებელ სამღვდლოებას შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში, რომელიც (სამღვდლოება) ჩვენში თითქმის მატერიალიურათ უზრუნველყოფილი არაა. სასულიერო სასწავლებლის და სემინარიის წესდება საგრძნობლათ უნდა შეიცვალოს. სასულიერო სასწავლებლის პროგრამა შეძლებას უნდა აძლევდეს მოსწავლეს განაგრძონ სწავლა იმ სასწავლებლებში, რომლებიც შეესაბამებიან მათ ნიჰაა და მიმართულებას.

ეს შეძლებას მისცემს მათ, ვინც განწყობალი არაა სასულიერო წოდებისადმი, დაამთავრონ საზოგადო განათლების მიმცემი სასწავლებლები და საერთოთ გაჰყვენ თავიანთ მოწოდებას. სემინარიაში კი უკვე ისეთები წავლენ, ვისაც ნამდვილად მღვდლობა უნდა.

(III. и Ж.)

პედერბურგის უნივერსიტეტის და უმაღლეს კურსების პროფესორებმა დაადგინეს, შუამდგომლობა აღიძრა სახალხო განათლების მინისტრის წინაშე შესახებ 11 ანგერის ცირ-



კულიარის გაუქმებისა და გამოორიკხედ სტუ-
დენტების ხვედრის შემსუბუქებისა.

(III. II კლ.)

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების
დირექტორმა შეატყობინა იმერეთის ეპიკოპოსს
სამღვთო რჯულის მასწავლებლების საცნობე-
ლათ, რომ დაწყებით სკოლებში სამღვთო სჯუ-
ლის მასწავლება უნდა სწარმოებდეს ქართულ
ენაზე.

(III. II კლ.)



ს უ რ ა თ ი.



გაავადრდა, ჩამოხრდა...

ცაში სჭექს და ქუხიდა.

სეტყვას ელას მუშა და სწუხს:

„ჩემი შრომა ტუყადა“.

იქვე მნათე სიმრეკლზე
მონქარებით ზარებსა რქეს,
ლოცვილობს და ქვეყნის დასნის
სეტყვისაგან ღმერთს ავედრებს.

დაიჭქა მუხზე ცაში
და ათრთლდა შიშით უვედა...
სუტე მშვიდი დარის ნიშნად
შორს გამოხნდა ცისარტყელა.

დაუშვიდა მუშას გული
რომ გადარჩა ის განსაცდელს
და მსურველის ღოცვით კვალად
უნა-კუნის ღმერთს ავედრებს.

ივერიელი.

ქართველის ყურნალის- ტის რვეულიდან.

საქართველოში მე ყოველისფერი ძალი-
ან ძნელი გასაკეთებელი შეგონა და, თურმე,
კაცი თუ მოინდომებს, ყოველივე ინდოურის
საცივის ქამაზე უადვილესი ყოფილა. ფილო-
სოფოსობა, ფინანსისტობა, პოლიტიკური ეკო-
ნომოსობა, სოციალოგობა, ლიტერატორობა,
ყურნალისტობა, პუბლიცისტობა, სახელმწიფო
დუმაში დებუტატობა—სულერთიანედ საჩიო-
კედელია საქმეთ გამხდარა. აბა, სიდან წარმო-
ვიღებდი, თუ უბლო ჩიტი რეკია „პრაპაგანდი“
დუმაში დებუტატად გამოიკიმიებოდა და, ვინ
იციის, თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, ერთს
შვენიერს დილას, პირდაპირ იგი წამოსკუბდეს,
პოეტის თქმისა არ იყვეს, „მინისტრის მადლი-
თაროხეც“...

მოძრაობის დროს ქიათურის არემარეზე
აღარ გამოაქანეს, მომისვეს ხელი და მეორე
ლუბერნიში, პირდაპირ თფილისში გადამასახ-
ლეს. და აქედან იწყება სწორეთ ჩემი დიდე-
ბა და სახელიც. ხომ მოგეხსენებათ, ზოგჯერ
დასჯა და სხვაგან გადასახლება კაცისა დიდათ
სასარგებლო გამომდრა ისტორიაში.

შორს რომ არ წავედე, შემიძლია დავასახლო
ის გარემოება, რომ რუსეთის უდიდესი მგოსა-
ნი ლერმონტოვი დიკირეს და კავკასიაში გად-
მოსახლეს. აი, სწორედ ამ კავკასიაში გადმო-
ბარგება-გადმოსახლებამ მოახდინა დიდი, ფრი-
ად საყურადღებო გავლენა ლერმონტოვის
მთელ ლიტერატურულ მოწოდებაზე. რუსეთის
დიდი მგოსინი ბლ პუშკინი რომ დუელში
მოკლეს, მაშინ ლერმონტოვმა ფრიად შეწუ-
ხებულმა ამ გარემოებით დასწერა ისეთი ლექსი,
რომელმაც ერთბაშად გაუთქვა დიდი სახელი
მთელს რუსეთში და დაუმკვიდრა მას პუშკინის
მემკვიდრეობა ლირიკაში. ჩვენმა ბუნებით გა-
საოცარმა, მრავლ-ფეროვნამ დიდმა კავკასიამ

აღუძრეს ნიჟიერ ლერმონტოვს ისეთი ჩაბეჭდილებანი, რომელიც საფუძველად დაედვა მისს უკეთესს უწარჩინებულესს თხზულებათა. ლერმონტოვის „დემონმა“, რომელიც სულ წინაპირველად ადგილის მოქმედებათა მდგომარეობით სრულიად გაურკვეველი ნაწარმოები იყო, ახალი დამუშავება მიიღო, გასკენიერდა, კავკასიის დიდებულ მათათაშორის გამოანახა მოქმედების არე-მარე და ჩვენი მრავალ ტანჯული ქვეყნას გადმოცემათა და ლეგენდების მეოხებით გამოარკვია და ნათელ-ჰყო თვით იდეა ამ თვის შესანიშნავი „დემონისა“

მეორე დიდი და მდიდარი იდეა, რომელიც აწუხებდა, ამღელვარებდა ლერმონტოვს და თვის „Исповѣди“ და „Бояринѣ Оршѣ“ ბრესნის სახით ავტორს კოცხალ ფორმებში ვერ ჩამოესხა, აქ, ჩვენს კურთხეულ კავკასიაში მიიღო სრული გარკვეული დიდად მაღალმატვრული ფორმები თვის უკდავს პოემა „მწირში“. კავკასიაზე მისცა ლერმონტოვს შინაარსი, ჩარჩოები პეტროანის სახე-სურათისა, რომელიც გაურკვეველი ჰქონდა მას თვის „Княгиня Лиговская“-ში.

აი, სწორეთ ასე მომივიდა თფილისში გადასახლებისთ. სწორეთ იმ დროს, რა დროსაც თფილისში ამოვყავ თავი, გაჩაღებული იყო ხმოსნების არჩევანი და ჩვენი პარტიის ყმაწვილებმა მე მიმიწვიეს, როგორც დახელოვნებული „პრაპაგანდი“. თითოჯერ ჩამოვლარე ჩემი რაზმით ავლაბარს, ნავთლულს, ჩუღურეს რიყეს, სოლოლაკს, მთაწმინდას, თათრის მოედანს ვერას, დიდუბეს და ძველი ქალაქი ჩემი პარტიით აცხცახებულა, სულერთიანად ჩემსკენ გადმოვიდა. ოც და ათი ხმოსანი ქართველი გავიყვანე მაშინ თფილისში, რაც საქართველოს დედა ქალაქს არ დასიზრმებია თავის დღეში.

მე ჟურნალისტობაც ძალიან მძიმე საქმედ მიმიჩნდა უწინ, მაგრამ გაეჩნდი თუ არა თფილისში, მაშინვე გუბერნატორს თხოვნა მივართვი, და ორ კვირეში ნება მომცა ჩვენს ქალაქში საქვეყნოდ გამომეცა ერთი უშველველი საპოლიტიკო სალიტერატურო და სა-

ზოგადოებრივი ყოველ დღიური გაზეთი „ცის მნათობა“.

უნდა მოგახსენოთ წინ და წინვე, რომ მე თუმცა მატერიალისტი ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს ზეციური პოეტური სიტყვებით მონათვლა გაზეთისა. აი, თუ გაწყრა ღმერთი და ეს ჩემი გაზეთი „ცის მნათობა“ დაიკეტა „შემაზვევისა გამო სხვისა და სხვისა“, მთელი ლექსიკონი მაქვს შედგენილი სულ მაღალ პოეტური, ჰაეროვანი სიტყვებისა, რომლითაც მოვნათლავ ჩემს ახალ გაზეთებს: სხივი, რიყე-რაყი, ცის ნამი, ცისკარი, ცისარტყელა, მნათობი, ალიონი, ტალდა, ზვირთი, ვფირი, ნიაფი, დილა, საღამო, მყუდრო, საამო და სხვა.

გამოვიდა „ცის მნათობი“ თუ არა, შიგ მოთავსებულმა ჩემმა მეთაურმა წერილმა იმ წამსვე ერთი უშველველი ქართველი ასტეხა მთელს დედა-მიწის ზურგზე. მაშინვე აზის ორ ქვეყანაში ორი უდიდესი დესპოტი ტახტიდან ჩამოაგდეს—ხვანთქარი სტამბოლში და შაჰი თეირანში, და ორიგვან სრული და ქეშმარიტი კონსტიტუცია დამკვიდრდა. ამიერიდან მე შევიქენი ერთი უშესანიშნავესი ჟურნალისტი მთელს კავკასიაში და ყველანი ჩემ სახელს უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებდნენ. მაშინვე თფილისის გაზეთებმა ვრცლად გადასტამეს თვის ფურცლებზე ჩემი სტატია და ავტორს დაახლოვებით ასეთი სიტყვებით იხსენიებდნენ: „ასეთი მეთაური ჯერ არ უნახავს გაზეთის ფურცლებს. მისი შინაარსი მდიდარია და საესე სიცოცხლით და გენიოსურის სურვილებით, იდეალებით; ენა ჯერ არ გაგონილისს პუბლიცისტურის ოქროს მძივებით არის შევნიერად ასხმული და გასაცვიფრებელ ზედ-მოქმედებას იწვევს მკითხველზე. ჩვენ ღარწმუნებული ვართ, ავტორი ძალიან დიდი ტალანტის მქონი ვინმეა და თავის გასაშტერებელს განძს უშმაღებს ქართველს ლიტერატურას!..“

მეც ვეთანხმები ამ შენიშვნას. უნიკო კაცი ასეთს მეთაურს, მართლაც, ვერ დავწერდა. აბა, შენს სიცოცხლეში პირველად წერდ



მეთაურს გაზეთში და იმ მეთაურით ორ აზრის სახელმწიფოს სამულდამოდ იხსნიდნენ. არ უშვებდნენ, სისხლის მწოველ დესპოტიზმს განსაზღვრებდნენ, რომ ჯერ არც ნახული, არც გაგონილი საქმეა ცას ქვეშეთში.

ხომლედი.



წაღმა-უკუღმა.

გაგრძელება*).

კოლია ახლა მოწიფული ვეფკაცი იყო და, ცოტა არ იყოს, კიდევ თავიკობდა ვიღაც გავსერილ დედა-კაცთან სამსახურს. ერთ დღეს, ჩვეულებრივად მორთულ-მოკაზმული სონია ივანოვნა ეტლით გაემგზავრა თავის „სავაქროში“ და კოლიას უბრძანა: ცოტა ხნის მერე, ისიც მისულიყო იქ. კოლიამ მიაწყა-მოაწყა ოთახები, ამოიღო გასაღები, გააღო და გაცარიელა კოლოფი, კოლოფშივე ჩასტოვა გასაღები, მოიხურა კარები და გასწია იქ, სადაც ნაბრძანები ჰქონდა. საათის ორზე სონია ივანოვნა და კოლია ერთად დაბრუნდნენ შინ. კოლიამ ფრთხილად ჩამოსვა ეტლიდან სონია, რომელიც ჩვეულებრივად გაემართა თავის ოთახისაკენ; შეიღო ოთახის კარი და პირველად ფეხის კოლოფს შეჭხედა და რა რომ გასაღები კოლოფშივე შენიშნა—უწყინა; ფგონა, რომ მას თვითონ ზარჩა; გამოსწია და ელდა ეცა: ეს ამოდენა ფულებიდან, შიდ გრაში-კაპეიკი არ მოიძებნებოდა... მან ხელად პოლიციასთან აფრინა კაცი და ექვეც კოლიაზე მიიტანა. პოლიცია შეუღდა საქმის გამოკვლევას. სონია ივანოვნას ჰკითხა, თუ რაში მდგომარეობდა მისი საჩივრის; კოლიასაც ჩამოარბოვა

ჩვენება, დემუქრა კიდევ; იხმარა ხერხები, მაგრამ საწუღელათ საქმე მაინც ვერ ახსნა. პირ-იქით, კოლიამ ისეთი გეგმებზე ჩამოადგმევინა ფეხი პოლიციელს, რომ იმანაც ბრალდების ისარა სულ სხვა მიმართკენ მიუშველია... მიუხედავად ამისა, ბოქალმა კოლია მაინც დაიჭირა და მისი ნაწარმოები ოქმი გამოძიებულს გარდასცა. გამოძიებულმაც ბევრი აბრუნა საქმე; ყურადღება მიექცია წვრილმან რამეებსაც, ზოგი-რამ დაფარულიც გამოაშკარავა, მაგრამ იმისთანას მაინც ვერაფერს მოჰკიდა ხელი, რის საფუძველზედაც მას კოლია სისხლის სამართალში გაეხვია. რა-ვერაფერს გახდა, საქმე მოსასობლად გაგზავნა, სადაც ჯერ იყო და კოლიაც გამოიშვა სატუსალოდან. კოლიამ სონია ივანოვნას მოცემული გაუგზავნა, რომ მაცეცა მისი ერთი წლის ჯამაგირი, მაგრამ გაბრაზებულმა სონიამ ლანძღვა მუქარა შემოუთავაღია. ეს იწყინა კოლიამ და სულში განუცხადა საჩივარი, ახსნა საქმე და სრული კმაყოფილებაც მიიღო.

მთელ ერთ წელიწადს დაეტებოდა კოლია სოხუმში უსაქმოდ და ძალიან ღარიბულადაც სცხოვრობდა. ამ სიფრთხილემ ძალიან შეუწყაო მას ხელი: მთელი მისი ნაცნობობა თითქმის იმ აზრისა გახდა, რომ ის ალაღ-მართალი იყო იმ ბრალდებაში, რაც მას უმართლოდ დასწამეს... „შეიძლება ნიკომ ჩაიდინა ეს ქურდობა და კოლიას ვადააბრალო; ის ც შეიძლება, სულ არაფერი დაკარგადეს იმ ქალსო,“ მსჯელობდნენ ქალაქში... კარგა ხნის შემდეგ, კოლია ერთს რესტორანში დადგა და მეორე წელს, მოგების ამხანაჯად გაუხდა რესტორანის პატრონს. ამ პირობით ის რადენიმე წელიწადს ვაქრობდა იქ. კოლიამ კარგად დაატრილა ვაქრობის საქმე და კარგა-ძალი ხვედრ ფულსაც იღებდა, მაგრამ რამდენსაც ხვედრს ღებულობდა, სამი იმდენს ნაქურდალთი სარგებლობდა, რასაც ის ძალიან საიდუმლოდ ახერხებდა... ის თან და თან ზრდიდა თავის საიდუმლო კასას, რასაც ნაქურდალთი უფრო აძლიერებდა, ვიდრე იფლთი მოპოვებული. ახლა მან... მომიღლიერებაც დაიწყო და ცარ-

* იხ. „შინ. საქმ.“ № 12.



ცვა-გლეჯასაც მიჰყო ხელი. ის არ არჩევდა მდიდარსა და ღარიბს; ორივეს ერთნაირად აძრობდა ტყავს, როცა ხელში ჩაეუარდებოდა; ოლონდ დრო და შემთხვევას ემებდა, რომ თვითონ არ ჩაეარდნილიყო საფრხეში. ამ ყოფით კარგა ხანს უვლიდა მან ხალხი და ერთობ დიდ ძალი თანხაც შეადგინა... ის თუმც ძალიან ფრთხილად და მოხერხებულად ეწეოდა მის ხელობას, მაგრამ აქა-იქ მაინც დაიწყეს ლაპარაკი, რომ ის ავაზაკობას უფრო ეწეოდა, ვიდრე ვაჭრობას.. ასეთს ხმებს კოლია დიდ ყურადღებას არ აქცევდა და სანამ არ გახურდა მაზე ლაპარაკი, მას ერთიც არ უღალატუნია მიზნისთვის. დაბოლოს როცა დარწმუნდა ის, რომ კიდევ ერთი, ან ორი ავაზაკური აქტი იყო საჭირო, რომ ის ხაფანგში გაბმულიყო, გასწორა ანგარიში და მოშორდა სიხუმს. კოლიას ქონებას მხოლოდ ნაღდი ფული შეადგენდა და როცა ეს მან დათვალია ერთობ სიხარულში აიტაცა, მაგრამ მცორე მხრით, ცოტა ვრ იყოს, რაღაც ერთნაირი შიში იგრძნო—ფული დიდ-ძალი აღმოჩნდა, რამაც ის ჩააფიქრა... კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, შეჰყრა მისი ქონება და გასწია № ქ-ლაქისაკენ. აქ მას ნაცნობი არავინ ჰყავდა და აქა-იქ დაიწყო ვილა-ცივილაკების გაცნობა, მაგრამ უფრო კი ისეთ პირებთან ჰკურდა და-ახლოვება, რომლებიც საფორდათო საქმეებს ეწეოდნენ... კოლიამ ახალ საზოგადოებას ციო შოკლენილიაით მოაჩვენა თავი. მისი სიტყვა პასუხები, საზოგადო მსჯელობა, მიხერა-მოხერა და საქციელი უხმოდ ამაბოდნენ, რომ ეს ადამიანი თითქმის ჭინჭველასაც არ დააბიჯებს ფესხაო; ამასთან, მის სავაჭრო საქმეებზე მსჯელობაში დიდი გამოცდილება და ცოდნა იხატებოდა და ამის გამო მას დიდხანს არ უცდია ცუდად. ის მალე დაუამხანავდა ერთს გურულს, რომელიც შეშით ვაჭრობდა და დიდი ძალი ფორდათები ჰქონდა აღებული და გაცემული. კოლიას დაამხანავების შემდეგ ფორდათების საქმე სულ სხვანაირად დატარდა: უფრო ფრთხილად შეისხა და მოგებაზე საგრძნობ

ბელად იმატა... გურული ერთობ აღტაცებით ეგებებოდა ამ სამხიარულო საქმეს, მაგრამ, სამწუხაროთ, ის მალე გაეხევა რაღაც საქმეებში დასჭირდა დიდძალი ფული და რა სესხით ვერსად მოიპოვნა ხელი, თავისი წილი ქონება ერთბაშით შეახსნა კოლიას; აიღო ნაღდი ფული და მოშორდა საქმეს- საქმის ამგვარი მიმართულებით კოლიას მდგომარეობა; შეიცვალა. მან ჩინებულად დაატრიალა საქმე; მოგება ზედმიწევნითი ჰქონდა და ძალიან მალეც გაეცნო საზოგადოებას. ახლა საჭირო არ იყო მისთვის ქონების დამალვა; რაც გინდ მოხრდილი საქმისთვის მოგეცა ხელი, არავის გაუკვირდებოდა. ამის შემდეგ მან ორი სამოსახლო მიწა იყიდა, ერთი-მეორეზე მობმული და ორივეზე მშენებელი ორ-ორ სართულიანი სახლები გააშენა და არც არავითარი ვალი დადებია... ახლა მან სულ—სხვანაირი ცხოვრება დაიწყო; ახლა მას ისიც მოაგონდა, რაც აქა-იქდის სრულიდაც არ ახსოვდა, ესე იგი მისი აზნაურობა და, ცოტა არ იყოს, ამით კარგა მალაღზე დაიკავა თავი. მართალია ამით ის დიდ-დიდ ვაჭრებს მაინც ვერ უახლოვდებოდა, მაგრამ წველი-ფხვა ვაჭრებს თვითონაც არ კადრულდებოდა, ამის გამო კავშირი საშუალო ღირსების ვაჭრებთან დაიკავა და ამ წრეში ტრიალობდა ის კარგა თამამად.. თუმცა კოლიას, გარეგნულად, პატიოსნება და რიგიანი ადამიანობა ეტყობოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ძალდატანებითი მოქმედება; ნამდვილად კი მის არსებაში ყოველგვარ პატიოსნებას და ზნეობრივ სისპეტაკეს ნიადაგი გამოსცლოდა. სონია იფანოვასთან სამსახურის დროს, სადაც ის ყოველგვარ ბიწიერებას უყურებდა, მისი ნორჩი ახალ-გაზღობა განუტურნებლად მოშხამულიყო და ის ავაზაკური აზრები, რომელნიც მას აღერ ახალ-გაზღობიდან ებადებოდნენ, სამუდამოდ ჩაჩენოდა ხსოვნაში და არ შეიძლებოდა მათით არ ესარგებლა, თუ შემთხვევა ხელს შეუწყობდა. ამის გამო მის არსებაში არსად იდგელი არ დაჩენილიყო ზნეობრივი თესლის ჩასავლებად. მას არ სწამდა არავითარი კეთილი მისწრაფება; მისთვის



არ არსებობდა სიბრაღელი, სიყვარული და ცოდვა-მადლი; არც არავითარი საქველ-მოქმედო საქმე სწამდა და თუ რაიმე ამ გვარს ის ჩიოდნდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე სახელი დემსახურებია, რაც მისი აღებ-მიცემისათვის იყო საჭირო...

კოლიამ ერთ-ერთი სახლი გააქირავა, საიდანაც ის ვარჯა ძალ ქირას იღებდა და მეორეში თვითონ დაბინავდა; მოაწყო სახლი ჩინებულად და არისტოკრატიულად დაიწყო ცხოვრება. მის ახლა საშინო არასფერი ჰქონდა: რაც ასე თუ ისე ეშოვნა, მის უდავო საკუთრებას შეადგენდა და დღიური შემოსავალიც დიდ-ძალი ჰქონდა. ყველა ეს საქმია იყო გულ-უხარბო აღმამანისათვის, მაგრამ აბა როდის შეჩერებულა აღმამანის გონება ერთს წერტილზე, რომ კოლია დაკმაყოფილებულიყო ერთ-დროებით ნაშოვნზე?! ის ყოველთვის იმის

ფიქრსა და გონებაში იყო, საიდან გაედიდებია ქონება, უფრო მეტი მამული შეეძინა და გვერდში ამოღდებოდა პირველ ხარისხიან მემამულეებს. ამ საგანზე მას ხშირად ებადებოდა სხვა და სხვა კითხვები და ხან და ხან ისეთს ტკბილ ოცნებებში შეცურავდა, რომ მის სიამოვნება-კმაყოფილებას საზღვარი არ ედებოდა...

კ. წუთისოფელი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მკედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

იბეჭდება და ამ მოკლე დროში გამოვა

ვაგვასაის მეფუტკრეთა საზოგადოების გამოცემა

“უ უ ს კ ა რ ი და მ ი უ უ ს კ რ ე ო ზ ა”

ა. ა. წულაძის მიერ შედგენილი, წიგნი დაჯილდოებულია ოქროს მინდლით. მიიღება დასაბუქდათ მხოლოდ სამეურნეო სასიამოთის განცხადებას.

წიგნის დაკვეთა და განცხადებების შეკვეთა შეიძლება კავკას. მეფუტკრეობის საზ. თავმჯდომარის სახელზე. (ტფილისი, ბაქოს ქუჩა № 6, თავ. ჰლატონ მის. ლორთქიფანიძესთან). წიგნის ფასი ცალკე იქნება გამოცხადებული.